

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-18	01-01-18
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	192,336	216,785
არამატერიალური აქტივები		1,346	1,421
სულ გრძელვადიანი აქტივები		193,682	218,206
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	263,318	209,947
საგადასახადო აქტივები		36,578	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		5,708	501
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	9,951,769	3,223,011
გაცემული სესხები	6	18,228,410	1,772,979
გადახდილი ავანსები		318,996	117,443
სულ მოკლევადიანი აქტივები		28,804,779	5,323,881
სულ აქტივები		28,998,461	5,542,087
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		9,817,709	567,353
სულ კაპიტალი	7	9,817,709	567,353
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	14,728,346	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,728,346	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	3,238,817	2,720,892
მოკლევადიანი სესხები	10	1,213,589	1,819,181
საგადასახადო ვალდებულებები		-	434,661
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,452,406	4,974,734
მთლიანი ვალდებულებები		19,180,752	4,974,734
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		28,998,461	5,542,087

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 სექტემბერს.



ნოდარი მიქაბერიძე

დირექტორი



შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018
ამონაგები		91,761,775
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(79,907,501)
საერთო მოგება	11	11,854,274
დასაქმებულთა ანაზღაურება	12	(700,169)
ცვეთა და ამორტიზაცია		(37,091)
საპროცენტო შემოსავალი		284,439
საპროცენტო ხარჯი		(179,537)
იჯარის ხარჯი		(76,875)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(164,774)
სხვა ხარჯები		(18,939)
სულ საოპერაციო ხარჯები		(892,946)
საოპერაციო მოგება		10,961,328
წმინდა შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან	14	358,407
სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი	15	(873,899)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		10,445,836
მოგების გადასახადი		(179,322)
მოგება/(ზარალი)		10,266,514
სხვა სრული შემოსავალი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		10,266,514

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 სექტემბერს.



ნოდარი მიქაბერიძე

დირექტორი




შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწყისდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
საწყისი ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	-	567,353	567,353
კაპიტალის ზრდა/შემცირება			-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		10,266,514	10,266,514
გადახდილი დივიდენდები		(1,016,158)	(1,016,158)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	-	9,817,709	9,817,709

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 სექტემბერს.



ნოდარი მიქაბერიძე

დირექტორი



შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს "მანგანუმ ლოჯისტიკი" (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2017 წლის 1 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. რუსთავი, მასლანკაშვილის ქ., სახლი 2, ბ. 15.

კომპანიის 100% წილის მფლობელი და დირექტორი არის ნოდარი მიქაბერიძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს მანგანუმის მადნის კონცენტრატის მოპოვება/დამუშავება-ტრანსპორტირებას, უზრუნველყოფს მის მიწოდებას მისი მთავარი კონტრაქტორის შპს ჯორჯიან მანგანუმისათვის. შპს მანგანუმ ლოჯისტიკი წინასწარ ახდენს იმ უზნების ინსპექტირებას რომელიც დამტკიცებულია ჯორჯიან მანგანუმის მიერ, ახდენს ტერიტორიის განფენილობის შესწავლას, სამუშაო სივრცის თუ მოსაზღვრე სტრუქტურების სიახლოვეს ნიადაგის სტრუქტურის შესწავლას. შპს მანგანუმ ლოჯისტიკი ახდენს მანგანუმის მადნის მოპოვებას მის გამდიდრებას (გარეცხვას) და შემდეგ ტრანსპორტირებას ქ. ჭიათურიდან ქ. ზესტაფონამდე დაქირავებული ქვეკონტრაქტორების მეშვეობით.

2018 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 32 (2017 - 29).

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძვლები

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად კომპანიის შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გადასვლის თარიღამდე კომპანია არ ამზადებდა და არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას რაიმე სახის რეგულაციების მოთხოვნიდან გამომდინარე, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის წინა პერიოდებში წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებთან შეჯერების მონაცემები.

კომპანიამ მსს ფასს-ზე გადასვლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შედავატები შესადარისი პერიოდისა და ფულადი ნაკადების წარდგენასთან დაკავშირებით, რის გამოც არ წარადგენს აღნიშნულ ინფორმაციას.

რადგან მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი, მსს ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ მოიცავს წინა პერიოდის შესადარის მონაცემებს, შესაბამისად წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების და საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68	3.07
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.59	3.10

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა
კომპიუტერული ტექნიკა	4
ელექტრონული მოწყობილობები	4
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6
სატრანსპორტო საშუალებები	5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამას. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების ვადის 10 წლის მანძილზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღირიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ზაჩინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან საზაჩინო კოდზე. შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშგების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორების ნაშთების ამოღება. თუ მსხვილი დებიტორის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი, ან ფაქტობრივად ვადაგადაცილება უფრო მაღალია ვიდრე განსაზღვრული იყო, სავაჭრო დებიტორული ანგარიშები შესაძლოა დარეზერვდეს. კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 ძირითადი საშუალებები

	მიწა	კომპიუტერული ტექნიკა	ელექტრონული მოწყობილობები	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01 იანვარი 2018	50,000	14,401	7,591	9,712	153,762	235,466
შემოსვლა		3,101	572	959	62,300	66,932
გასვლა		-	-	-	65,350	65,350
31 დეკემბერი 2018	50,000	17,501	8,163	10,671	150,712	237,048
01 იანვარი 2018		1,955	1,063	581	15,081	18,681
პერიოდის ცვლილება		3,876	1,906	1,624	31,337	38,743
გასვლა		-	-	-	12,712	12,712
31 დეკემბერი 2018		5,831	2,969	2,206	33,706	44,712
საბალანსო ღირებულება 01-01-18		12,446	6,528	9,130	138,681	216,785
საბალანსო ღირებულება 31-12-18	50,000	11,670	5,195	8,465	117,006	192,336

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-12-18	01-01-18
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	263,318	209,947
სულ	263,318	209,947

5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-12-18	01-01-18
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9,951,427	3,223,041
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	342	(30)
სულ	9,951,769	3,223,011

6 გაცემული სესხები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხი	ვალუტა	განაკვეთი	31-12-18
1	USD	10%	230,197
2	USD	10%	133,830
3	USD	10%	187,329
4	USD	10%	53,532
5	USD	10%	342,446
6	GEL	12%	718,000
7	USD	8%	376,017
8	USD	10%	49,704
9	USD	10%	16,863
10	USD	10%	630,185
11	USD	10%	80,321
12	GEL	12%	4,440,000
13	GEL	8%	9,541,000

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

14	USD	8%	224,510
15	USD	10%	80,298
16	USD	10%	244,734
17	USD	10%	321,192
18	USD	10%	213,975
19	USD	10%	19,037
20	USD	10%	53,532
სესხის ძირი			17,956,702
გადასახდელი პროცენტი			271,709
სულ გაცემული სესხები			18,228,410

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაცემული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	01-01-18
1	USD	10%	121,833
2	USD	10%	51,975
3	USD	10%	544,362
4	USD	10%	259,220
5	USD	10%	58,325
6	USD	10%	208,796
7	USD	8%	-
8	USD	10%	409,859
9	USD	10%	13,138
10	USD	10%	49,117
სესხის ძირი			1,716,624
გადასახდელი პროცენტი			56,354
სულ გაცემული სესხები			1,772,979

7 კაპიტალი

2018 წლის 1-ლი იანვრისთვის კომპანიის კაპიტალი არის 567,353 ლარი. 2018 წლის მთლიანი სრული შემოსავალია 10,266,514 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული დივიდენდი შეადგენს 1,016,158 ლარს.

8 გრძელვადიანი სესხები

სესხი	ხელშეკრულების დადების თარიღი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31-12-18
1	27.12.2018	GEL	8%	14,728,346
სულ გაცემული სესხები				14,728,346

9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-12-18	01-01-18
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	3,238,817	2,696,892
მიღებული ავანსები	-	24,000
სულ	3,238,817	2,720,892

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

10 მოკლევადიანი სესხები

სესხი	ვალუტა	განაკვეთი	31-12-18
1	USD	10%	1,000,063
სესხის ძირი			1,000,063
გადასახდელი პროცენტი			213,526
სულ მიღებული სესხები			1,213,589

სესხი	ვალუტა	განაკვეთი	01-01-18
1	USD	10%	407
2	USD	10%	1,769,607
სესხის ძირი			1,770,014
გადასახდელი პროცენტი			49,167
სულ მიღებული სესხები			1,819,181

11 საერთო მოგება

	2018
მომსახურების გაწევიდან	90,865,896
სხვა საოპერაციო შემოსავლები	895,879
სულ ამონაგები	91,761,775
მანგანუმის მოპოვების ხარჯი	(74,915,285)
ტრანსპორტირების ხარჯი	(3,781,326)
ნედლი მადანის მოპოვების ხარჯი	(572,501)
პირდაპირი ხელფასები	(602,575)
საწვავის ხარჯი	(33,590)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,727)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(497)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(79,907,501)

12 დასაქმებულთა ანაზღაურება

	2018
შრომის ანაზღაურება	687,941
სხვა სარგებელი	12,228
სულ	700,169

13 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
იურიდიული მომსახურება	57,203
ბანკის საკომისიო	38,933
სხვა საერთო ხარჯი	35,313
სასპონსორო მომსახურების ხარჯი	23,500
კომუნიკაციის ხარჯები	3,849
საკონსულტაციო ხარჯები	3,434
დაცვის ხარჯი	1,475
საკანცელარიო ხარჯი	1,068
სულ	164,774

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

14 წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:

	2018
დადებით საკურსო სხვაობები	1,932,234
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(1,573,826)
სულ	358,407

15 სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

	2018
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	28,282
ძირითადი საშუალების გასვლა	(52,638)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(849,543)
სულ	(873,899)

16 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 370,000 ლარს (2017-1,046,363 ლარი). კომპანიას არ ყავს დაკავშირებული მხარეები, რომლებიც ნაშთების ან/და ტრანზაქციების გამჟღავნებას საჭიროებს.

17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გასცა დივიდენდი 810,800 ლარი. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ძირითადი საშუალებები	9
4. ფული და ფულის ექვივალენტები	9
5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9
6. გაცემული სესხები	9
7. კაპიტალი.....	10
8. გრძელვადიანი სესხები	10
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10
10. მოკლევადიანი სესხები.....	11
11. საერთო მოგება	11
12. დასაქმებულთა ანაზღაურება	11
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	11
14. წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	12
15. სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი/(შემოსავალი)	12
16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	12
17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12